

ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის
N76 ბინაზე, მოქალაქე ნანული გოცირიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N76 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნანული გოცირიძის წარმომადგენლის თეა გოგონიძის განცხადება /2012 წლის 21.09 Nგ-8004/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N76 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ნანული გოცირიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N76 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნანული გოცირიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N76 ბინაზე /საერთო ფართობი 28,00 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 28,00 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 8,16 კვ.მ./ მოქალაქე ნანული გოცირიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე კ.რაგინმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე